საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 3 ივნისი 2011 წ.

ბრძანება № 65

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის მერაბ ლებანიძისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-40 მუხლის I პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჯორბენაძის მოხსენებითი ბარათის საფუ-ძველზე ვბრძანებ:

1. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს მერაბ ლებანიძეს დაბადების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოეცხადოს მადლობა ნაყოფიერი და წარმატებული მოღვაწეობისათვის.

2. აღნიშნული ბრძანებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, საქმისწარმოების სამსახურმა და შესაბამისმა ფაკულტეტმა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 4).

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ე. მესხია**